



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030428200996513

KA030428200996513

№ 04-189/ო

12 / აპრილი / 2013 წ.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული “სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება“) დამტკიცებული „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ (დანართი 1.12) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დადგენილებით განსაზღვრული „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ (დანართი 1.12) ფარგლებში დამტკიცდეს:
 - ა) მომსახურების გაწევის თაობაზე კონკრეტული მოსარგებლის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ამ მომსახურების მიმწოდებლის ინფორმირების ფორმა – (დანართი N1 – იგზავნება სააგენტოს ტერიტორიული ერთეულიდან მიმწოდებელთან, მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში);
 - ბ) მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო თვეში გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმები (დანართი N2 – იგზავნება მიმწოდებლისაგან სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, მომსახურების მიწოდების ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით; დანართი N3 – იგზავნება მიმწოდებლისაგან სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, მომსახურების მიწოდების მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით).
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ფორმებით მიმწოდებლებისაგან მიღებული ინფორმაცია სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ სააგენტოს ცენტრალურ აპარატში წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონული ფორმით (როგორც დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის(დეს), ისე ელექტრონული პროგრამა “child“-ის საშუალებით), არაუგვიანეს ყოველი თვის 20 რიცხვამდე.
3. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველომ (ვ. გაზდელიანი) უზრუნველყოს:

ა) მომსახურების მომწოდებელ პირთა ინფორმირება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმების და ინფორმაციის მოწოდების პირობების თაობაზე;

ბ) სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისათვის საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება ამ ბრძანებასა და “სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.


4. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული ფორმების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს (მ. მაჭავარიანი).

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2013 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო,
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე



პროგრამის დასახელება: „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამა”
 სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა”

ორგანიზაციის დასახელება:

სახლის მისამართი და კოდი:

№	სახელი	გვარი	პირადი ნომერი	დაბადების თარიღი რიცხვი/თვე/წელი	ოქმის თარიღი	ოქმის N	სათემო ორგანიზაციებში ჩარიცხვის თარიღი: რიცხვი/თვე/წელი	სათემო ორგანიზაციებიდან ამორიცხვის თარიღი: რიცხვი/თვე/წელი
1	2	3	4	5	6	7	8	9

ხელმძღვანელი პირის ხელისმოწერა

ბ.ა

შენიშვნა: დანართი N 1 იგზავნება სააგენტოს ტერიტორიული ერთეულიდან მიმწოდებელთან და სააგენტოს ცენტრალურ აპარატში ყოველი საოქმო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

პროგრამის დასახელება: „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამა“
 "სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა"

ორგანიზაციის დასახელება:

სახლის მისამართი და კოდი:

საანგარიშო პერიოდი ----- თვე, წელი

№	სახელი	გვარი	პირადი ნომერი	დაბადების თარიღი რიცხვი/თვე/წელი	სათემო ორგანიზაციაში გატარებული დღეების რაოდენობა	ჩარიცხვა რიცხვი/თვე/წელი	ამორიცხვა რიცხვი/თვე/წელი	დროებით გაყვანის პერიოდი დაწყება/დამთავრება რიცხვი/თვე/წელი
1	2	3	4	5	6	7	8	9

ხელმძღვანელი პირის ხელისმოწერა

ბ.ა.

შენიშვნა: დანართი N2 იგზავნება მიმწოდებელისგან სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში მომსახურების მიწოდების ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით. სააგენტოს ტერიტორიულმა ერთეულმა ერთი დღის ვადაში უნდა ასახოს მონაცემები კომპიუტერულ პროგრამა „child“-ში და გადააგზავნოს სააგენტოს ცენტრალურ აპარატში.

პროგრამის დასახელება: „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამა“
 "სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა"

ორგანიზაციის დასახელება:

სახლის მისამართი და კოდი:

საანგარიშო პერიოდი ----- თვე, წელი

№	სახელი	გვარი	პირადი ნომერი	დაბადების თარიღი რიცხვი/თვე/წელი	სათემო ორგანიზაციაში გატარებული დღეების რაოდენობა	ჩარიცხვა რიცხვი/თვე/წელი	ამორიცხვა რიცხვი/თვე/წელი	დროებით გაყვანის პერიოდი დაწყება/დამთავრება რიცხვი/თვე/წელი
1	2	3	4	5	6	7	8	9

ხელმძღვანელი პირის ხელისმოწერა
 ბ.ა.

შენიშვნა: დანართი № 3. მიმწოდებლის მიერ სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში უნდა იქნეს წარდგენილი საანგარიშო პერიოდის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები, ყოველი შემდეგი თვის 15 რიცხვის ჩათვლით. სააგენტოს ტერიტორიულ ერთეული დაამოწმებს არსებულ მონაცემებს და აგზავნის ცენტრალურ აპარატში ერთი დღის ვადაში.